სახალხო გაგეთილი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 723

დამატების № 127

კვირა, 14 ოქტომბერი 1912 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიჩუმის გოდოლი

ისტორიული მოთხრობა

ვ. პესგუდისა.

(შემდეგი *).

— ეს მეასეა ასეთი შეთქმულობა! მეათასე?..

— ეხლა კი ნამდვილად მივაღწიე იმის ფესვს.

— მერე რაღას ელოდები? ამოთხარე ეგ ფესვი!

— რასაკვირველია ამოვთხრი, ჩემო მბძანებელო, მაგრამ ამ ჯერობაზე ასე ადვილიც არ არის.

— როგორ?

— საქმე უჭკუო ადამიანს არ ეხება.

— ვინ არის, ჩემო იაკინლუ?

— უკანასკნელი კანონიერი მემკვიდრე ხირამისა. ის, რომელსაც, მაპატიე, ჩემო მბძანებულო, ნება აქვს ტახტისა, რადგან შენზე უფრო ახლობელია ხიმარისა.

— იმის სახელი? ჩქარა მითხარი იმის სახელი!—წამოიძახა ფალესმა, რომელიც ერთბაშად გამოფხიზლდა.

— მირბალ, მატტანის შვილობილი. წინედ მას მაგანი ერქვა სახელად.

— რად არ მოჰკალი? თუ შენც გინდა მიღალატო და გამყიდო? შენც მოგისყიდა ჩემმა მტერმა?

— დამშვიდდი, ჩემო მპყრობელო! ჩვენი ბედი შეერთებულია... შენი დაღუპვა—ჩემი დაღუპვაც იქნება...

— რატომ არ მოჰკალი მირბალ?

— მატანი ძალიან მდიდარია!..

— მით უკეთესი! მასაც გავამტყუნებდით შეთქმულობაში და ჩამოართმევდით სიმდიდრეს.

— ეს ისე ადვილი არ არის. ის ითვლება უფროსად ყველა მუშებისა. პატრონია უდიდესი ქარხნისა, მუშები აღმერთებენ მას. ტირს უყვარს მატტანი და იმის დატუსაღება გამოიწვევს აჯანყებას.

— მირბალ აქ რა შუაშია?

— ტირის მცხოვრებნი იცნობენ მირბალს, როგორც ხელოვან ქანდაქარს. იმისგან სწავლობენ მუშაობას ჩვენი მექოთნეები და შემდეგ ძვირფასად ჰყიდიან თავიანთ ნახელოვნებს. მირბალმა გამოიგონა რამოდენიმე შესანიშნავი ლამაზი ფერადები. შენს ჯარშიაც, ჩემო მბძანებელო, ბევრი მეგობარი ჰყავს მას.

— ჯარში? ეგ როგორ?

— იმიტომ რომ ის მგოსანიც არის. სწერს ლექსებს, ქებით იხსენიებს წარსულ დროს ტირის დიდებისას. ადიდებს და აქებს ხირამის ღვაწლს. ეს ლექსები გავრცელებულია—ჯარში, ყველამ იცის, ყველა მას იმღერის. დიახ, ამიტომაც საშიშია გაუსამართლებლოდ იმის დასჯა.



„გამარჯვების“ ქანდაკება ქ. ოლიმპიაში.

(იხილე კიტა აბაშიძის ფელეტონი „სახ. გაზ.“ № 719

— მაშ მივგზავნოთ მოსყიდული მკვლელები?

— არა! ის უნდა გავასამართლოთ საჯაროდ!

— კარგი! მოწმე გყავს?

— ოო! მე ისევ შევხვდი იმ შხამიან გველს, ცრუ ქურუმს კარმელის გორიდან... იმან შემიშალა ხელი მირბალის დატუსაღებაში... შევესწარი, როდესაც მირბალ უამბობდა ერთ ქალიშვილს გეგმას შენის მოკვლისას და ტახტის დამკვიდრებისას.

— ის მაწანწალა? მატყუარა ქურუმი? შენ ერთხელაც მიამბე იმაზე... რატომ იქვე არ მოჰკალი, რას ელოდებოდი?

— ის... ის...

— რა იყო? კიდევ რა ჩაიდინა იმ განდეგილმა?

— უკანიდან მომეპარა... ამბობდა კბილების ღრჭენით იაკინლუ.—ვერ მოვახერხე თავის დაცვა... ხმალი ხელიდან გამვარდა...

— ხა, ხა, ხა! ნეტავი დამენახა იმ დროს ჩემი მამაცი იაკინლუ უიარაღოდ, ვიღაც მაწანწალას ხელში.

— ნუ იცინი, ჩემო მპყრობელო!.. იმ მათხოვარმა ხელი შეახო შენს მსახურს, შენი ბძანების ამასრულებელს... მაშ მარტო ჩემთვის არ მოუყენებია შეურაცყოფა... შენც შეურაცგჰყო...

— მომიყვანე აქ ის მაწანწალა და მე გაყურებინებ, როგორ დაიკლაკნება იმის სხეული ჩემი მათრახის ქვეშ... ან არა და შენ დაუდარაჯდი სადმე და ჩაეცი გულში ბასრი ხანჯალი!..

— იმის დაჭერა შეუძლებელია... რამდენჯერ მივსდიე იმის კვალს და ყოველთვის გასაოცრად მემალება, თითქოს დედა-მიწამ ჩაჰყლაპაო...

— მირბალ სად არის ეხლა?

— ქურუმმა წაიყვანა, მაგრამ მალე მივაგენი იმათ კვალს და დავატუსაღე ისა და იმის საცოლე, მატტანის ქალიშვილი. ქურუმი კი ისევ სადღაც ჩაიჩქლამა.

— მაშ, ეხლა შენ ხელთ არიან ორთავენი?

*) იხ. სურათებიანი დამატება № 126

ბალკანეთიდან

ბულგარეთის ბატონიშვილი ჯარს საომრად მიუძღვის.

სერბიის ტყვისმფრქვეველი როტა საზღვარზე.

სერბიის საზღვრის სადარაჯოზე.

სერბიის სამთო არტილერია.—მიუვალ მთებში სამთო ზარბაზნები ამ სახით ააქვთ.

— დიახ.

— მოიყვანე ხვალ დილით მალკარტის ტაძარში. მე ვავახსენებ ტირის მცხოვრებლებს, ძველ ჩვეულებას—როგორ ასამართლებდნენ ხელმწიფის მოღალატეთ—მოწმე გყავს? საჭიროა მოწმე შენ გარდა სხვაც?..

— დიახ, მყავს.

— მითხარი რას ითხოვ საჩუქრად ერთგულებისათვის?

— მე სრულიად უანგაროდ გემსახურები, ჩემო მპყრობელო! რასაკვირველია ცოტა დავხარჯე მირბალის ძებნაში... მე ხომ ისე მდიდარი არა ვარ...

— კარგი! შენ მიიღებ საჩუქრად მატტანის სიმდიდრიდან კიდევ?

— კიდევ რა? იმ ყმაწვილმა ძალიან შეურაცყოფა მომაყენა ახალგაზდა ქალთან... ეს მე მეტად დამამცირებს თუ ის ქალი ჩემი არ გახდება... მაშინ ძე შევიძლებ იმის დაჩუმებას იმის შესახებ, რაც იქ მოხდა.

— ვინ არის ის ქალი?

— ილისს, მატტანის ქალი, მირბალის საცოლე.

— კარგი! იმას არ დავსჯით... ხალხს მაინც არ მოსწონს, როდესაც ქალებს ვსჯით. თუ გინდა, მე უბძანებ მატანს თავის ქალი მოგათხოვოს. როდესაც დაისაკუთრებ - მაშინ როგორც გინდა მოექეცი—გინდა მონად გაჰყიდე, გინდა აწამე, ეგ შენი საქმეა. ეხლა წადი, მე მეძინება.

იაკინლუ გავიდა. ამაზე ადრე იეზაველ გამოვიდა შეუმჩნევლად და როდესაც იაკინლუმ გვერდით ჩაუარა—მან შეაჩერა მხედარი.

— მგონია ყველაფერი რიგზე მიდის, იაკინლუ?

— დიახ, ჩემო ხელმწიფევ. მე შევასრულე შენიბ რძანება.

— ეს შეთქმულობის ამბავი, მამაჩემის წინააღმდეგ, რასაკვირველია ზღაპარი იყო?

— ასაკვირველია. მირბალი აქ არაფერ შუაშია.

— შენ რად გინდა ის ქალი, მირბალის საცოლე?

— შენ რად დაგჭირდა ჩემი მისევა მირბალზე?

— იმან მე შეურაცყოფა მომაყენა. ის ლამაზია ღმერთივით და მეფური სისხლისაა. მე მეგონა, როდესაც მირბალ ჩემი ქმარი გახდებოდა, ტირი მაპატიებდა ყველა ჩემ ცოდვებს, მე და მირბალ ვიმეფებდით მშვიდობიანად... მეც დავიღალე, მინდა მოვისვენო...

— მერე იმ ბავშმა გაჰბედა უარის თქმა ასეთ პატივზე და ბედნიერებაზე.

— დიახ, მან სასაცილოდ ამიგდო... მიწოდა ბინძური ქმნილება და მიიმალა სადღაც მირბალის სახელით...

— უნდა მოკვდეს! იცი, ჩემო ხელმწიფევ, მე და შენ ერთნაირ მდგომარეობაში ვართ.

— ეგ როგორ?

— მე ვარ გადმოხვეწილი უცხო მხარიდან და ჩემს ძარღვებში სულ სხვა სისხლი ტრიალებს. თუმცა ფალესის წყალობით ძალიან ავმაღლდი, მაგრამ აქ მაინც უცხო ვარ... მე მორიელს მეძახიან, მაგრამ ჩემი გასრესა ვერ მოუხერხებიათ, რადგანაც ძალიან მაღლა ვდგევარ. ფალესსი ხომ ორ საუკუნეს ვერ გასძლებს... შემდეგ რა მოძელის? ამიტომაც მოვიფიქრე განათესავება ტირის მცხოვრებლებთან. მინდოდა შემერთო ცოლად მატტანის ქალი და სწორედ ამ დროს გზაზე გადამეღობა ის ლეკვი... ილისს ის შეუყვარდა და მე მიღალატა. ეხლა მე იმას ვეზიზღები...

— სიკვდილი მას!—ცხარედ წამოიძახა იეზაველმა.

— დიახ, სიკვდილი!—დაემოწმა იაკინლუ.—მაგრამ ჯერ მშვიდობით! ხვალისთვის უნდა მოვამზადო ტაძარში გასამართლების კომედია...

— ხვალამდის!—მიაძახა იეზაველმა და შებრუნდა ბაღში, საიდანაც მოისმოდა კიფარის და სიმღერის ხმები ფალესის გასართობად.

III

მეორე დღეს, დილით ტირი აღელდა. ხალხი ფუტკარივით ირეოდა. ყველა შეთქმულებაზე ლაპარაკობდა, რომელიც „მეფის ვეფხმა“ გამოამჟღავნა. მოუთმენლად ელოდნენ ხიმარის უკანასკნელ მემკვიდრის გასამართლებას. ეს უნდა მომხდარიყო შუადღისას. მელკარტის ტაძარში. ყველანი ტაძრისაკენ მიეშურებოდნენ.

ფალესის მეფობა ამ უკანასკნელ ხანებში აუტანელი იყო. ყველა იმედოვნებდა, რომ რაკი მას ვაჟი არა ჰყავდა მემკვიდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომის გამო.

ბულგარეთის ქვეითა ჯარი საფარში.

სერბიის რკინის გზის ბატალიონი ლიანდაგს აგებს.



სტამბოლის ქუჩებში ხალხი დემონსტრაციას ახდენს და ყვირის: „გაუმარჯოს ომს!“.

ბულგარეთის გვარდია საომრად მიდის.

რედ—იმის სიკვდილის შემდეგ უკეთესი დრო დადგებოდა. ფიქრობდნენ, რომ ტახტზე ავიდოდა ხიმარის შთამომავალი ვაჟი და მხარე გაიხარებდა—მაგრამ ეხლა, როდესაც შეიპყრეს პირდაპირი მემკვიდრე ხიმარისა—იმედი გადაუწყდათ.

მირბალთან ერთად შეიძლება სხვაც ბევრი დასჯილიყო, მაგალითად მოხუცი მატტანი, რომელსაც ხალხი „მშივრების“ მეგობარს, ეძახდა. ვაჭრებმა, ბევრმა მიჰკეტა დუქანი, თავიანთი ქონება დამალეს და თითონ წავიდნენ ქალაქიდან. ბევრმა უსაქმურმა ტმაწანწალა ხალხმა გამოჰყო თავი, იმ იმედით, რომ არეულობის დროს ხელი მოეთბოთ რითიმე. იაკინლუმ ყოველი ზომა მიიღო არეულობის ასაცილებლად: აუარებელი ჯარი გამოიყვანა უმთავრეს ქუჩებზე მელკარტის ტაძრის სიახლოვეს—სადარაჯოდ.

ფალეს და იეზაველ ტაძარში ისხდნენ მირბალის გამოკითხვის დროს.

მირბალ ყველაფერს უარს ჰყოფდა. იმას არასოდეს აზრად არ მოსვლია ფალესის ტახტიდან ჩამოგდება, მაგრამ ამის წინაალმდეგ იაკინლუმ მრავალი მოწმე მოისყიდა. ესენი ამტკიცებდნენ ფიცის ქვეშ მირბალის დანაშაულობას. ამათი სიტყვით მირბალი იყო შეთქმულობის მოთავე, ბოროტი, მკვლელი, მძარცველი, ტაძრის შემბღალავი და სხვა...

სამსჯავრო შვიდი ქურუმისაგან შესდგებოდა. ნაშუადღევის სამ საათზე გამოიტანეს განაჩენი, რომლითაც მირბალ დამნაშავედ აღიარეს და სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს. მოხუცი მატტანი დამნაშავედ იცნეს, როგორც მირბალის აღმზრდელი, მას უნდა ჩამორთმეოდა ნახევარი სიმდიდრე—და თუ ოდესმე შეამჩნევდნენ რამე დანაშაულს—სამუდამოდ გააძევებდნენ ტირიდან. ილისსიც მონაწილედ სცნეს ამ შეთქმულობაში. ის სიკვდილით დასჯის მაგივრად უნდა გაყიდულიყო მონად და იქ აღებული ფული დარიგებოდა მსაჯულებს, ე. ი. მელკარტის ტაძრის ქურუმებს.

მირბალ გადასცეს ფალესის განკარგულებას. მას უნდა აერჩია, როგორი სიკვდილით დაისჯებოდა.

როდესაც განაჩენი გამოიტანეს—ტაძარში შეიქმნა ყვირილი იაკინლუსაგან დაქირავებულ მოწმეებისა.

— რკინის ხარი! რკინის ხარი! დიდი ხანია მშიერია! დასწვიო! დასწვით რკინის ხარის გულში!

მეორე მხარე ჰყვიროდა:

— თითონ ფალესსი გადასწყვეტს ამის ბედს: ყველაფერი ამის ხელთაა!..

ასტყდა ხმაურობა, ყვირილი, მაგრამ მხედრებმა მალე ჩაჩუმეს ყველანი.

— რას იტყვი ეხლა, თავხედო?—დაცინვით ჰკითხა ფალესმა მირბალს.

— არაფერს!—ამაყად უპასუხა მირბალმა.

— გეშინიან ხმის ამოღებისა? ენა სასაზე მიგეკრა?

— არა! მე არაფერი მაქვს შენთან სალაპარაკო.

— რატომ?

— ყველაზე კარგად შენ იცი, რომ მე არავითარი დანაშაული არ მიმიძღვის შენს წინაშე...

— მართლა? არავითარი დანაშაული? ეგ როგორ?

— იმიტომ რომ, თუმცა მე პირდაპირი მემკვიდრე ვარ ხიმარისა, მაგრამ არასოდეს არ მისურვია მეფის გვირგვინი... მე ქანდაქარი ვარ და ვცხოვრობ მხოლოდ ჩემის ხელოვნების და სიყვარულისათვის. მე არ მინდა მეფის გვირგვინი და ოქრო, თუ მომესპობა ჩემი ხელოვნების სამსახური და წამერთმევა ჩემი საყვარელი არსება.

— ეგრე! ეგრე! —დაცინვით იქნევდა თავს ფალეს.—ხედავთ რა ტკბილად ჰგალობს ეს შაშვი, როდესაც შევარდენის კლანჭებში ჩავარდა!—მაგრამ რა სულელი იქნება შევარდენი შენ ჭიკჭიკს რომ ყური დაუგდოს შე მტვერო, არარაობავ!..

-- მე მტვერი არა ვარ!—ამაყად წარმოსთქვა ყმაწვილმა. —მე ვარ მექანდაქრე—მე ვქმნი ხელოვნებაში საუკეთესო ნივთებს! ჩემი ქმნილება ღრმა კვალს დასტოვებს! დეე ქვეყანამ დამივიწყოს სიკვდილის შემდეგ.—ის არ დაივიწყებს ჩემგან დატოვებულ კვალს! გაივლის მრავალი წელი და ჩემგან დატოვებული ქმნილება არ მოკვდება.

- ეგ სისულელეა! ეგ მე არ მეხება! მინდა ვიცოდე, რას ფიქრობ შენს გასამართლებაზე?

— არ მეშინიან. ვიცი სასიკვდილოდ ვარ გამზადებული და ვერაფერი მიხსნის ისისგან. მაშ რიღასი უნდა მეშინოდეს?.. თუ გინდა გეტყვი ამ სამართლის შესახებ, გამიგონე!..

— სთქვი!

— მე ხიმარის მემკვიდრე ვარ, უკანასკნელი და ერთადერთი მემკვიდრე, რადგან სხვები შენ დაჰხოცე, ან დაახოცვინე მოსყიდულ მკვლელებს.

— მერე?

— დიახ! ეს ასეა! ეხლაც ვერ მოისვენებ, სანამ მე არ მომკლავ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ რას ფიქრობ, იეზაველ?—ჰკითხა ფალესმა თავის ქალს.

— მე ვფიქრობ, რომ ყველა ეგ ყმაწვილური ტიტინია და სხვა არაფერი... ამ ყმაწვილს არასოდეს არ უკვემნია ძალა და ამიტომაც ასე ადვილად უარჰყოფს ბძანებლობის უფლებას. ერთხელ რომ მაინც გამოეცადა, მაშინ სულ სხვა აზრის იქნებოდა.

— არასოდეს! არაფრისთვის!

— ეგ კარგის შთამომავლობისაა: ამის ძარღვებში მეფის სისხლია, დიდებულ ხიმარისა, რომელმაც აამაღლა გვარი. მეც იმის შთამომავლობა ვარ. თვით ღმერთებმა გასაჯეს ჩვენი შეუღლება... თუ დაივიწყებ, მირბალ, შენს ბავშვურ ბოდვას, მამა შეგიბრალებს, ჩემის თხოვნით... შენ გახდები ტირის მმართველად... ჩემთან ერთად მიიღებ მეფურ პატივს... სთქვი მხოლოდ, რომ შენ ხელს აიღებ შენს ხელობაზე და—გაგანთავისუფლებენ.

— ჩემი საცოლე?

— რომელი საცოლე?—ზიზღით წარმოსთქვა იეზაველმა. —ვიღაც საბრალო ვაჭრის ქალი, უმსგავსი, განთავისუფლებულ მონის შვილი უნდა იყოს ხიმარის შვილისშვილის საცოლე? შენს დასამშვიდებლად იმასაც გავანთავისუფლებთ, მხოლოდ ტირიდან უნდა გავაძეოთ... უმჯობესია თუ იაკინლუს ხვევნაში დაივიწყებს შენს ალერსს... იაკინლუსაც ჰსურს იმ სულელი გოგოს შერთვა...

— არასოდეს! არასოდეს!—დაიყვირა ყმაწვილმა და წარსდგა წინ ერთი ნაბიჯი, თითქოს უნდა დაეტაკოსო.— წყეული იყავ შენ, შხამამიანო გველო!

იეზაველს, თითქოს სილა შემოჰკრესო, უკან დაიხია და იმ წამსვე იმის ხელში პრიალი დაიწყო ბასრმა ხანჯალმა. ერთი წამიც ტ მექანდაქრე, რომელიც უიარაღოდ იდგა გააფთრებულ ქალის წინ, მკვდარი დაეცემოდა იატაკზე, მაგრამ ფალესს არ ეძინა. მან ხელი წაავლო თავის ქალს და ისეთის ძალით დასწია უკან, რომ იეზაველ თითქმის დაეცა სკამზე.

— უჭკუო!—დაუყვირა მან. —გონს მოდი! რას ჩადიხარ! დაგავიწყდა ძველი კანონი, რომ სიკვდილით ისჯება ის, ვინც თუნდაც შემთხვევით დაღვრის ახლობელის სისხლს მეკარტის ტაძარში?

— გამიშვი! მე უნდა გავძღე მაგის სისხლით. იკლაკნებოდა გველივით იეზაველ.—მაგრამ არა! წადი, მიეგებე შენს ხვედრს! შენ თითონ აირჩიე შენთვის სიკვდილი! შენ მოგელის ხვალ წამებით სიკვდილი!

— ვიცი!

თ-დი ირაკლი ვას, მებურო-ვაჩნაძე,
თვითმოძრავ სავარძლისა და ფეხის ოფლის გამქრობ ჩულქების გამომგონი.



„თ-დი ირ. ვას. მებურო-ვაჩნაძისა და ამხ.“ ქარხნების ფირმა.

— შენ დაგწვავენ რკინის ხარის გულში!..

— ეგრე იყოს! საშინელია სიკვდილი წამებით, მაგრამ უფრო საშინელი იქნებოდა სიცოცხლე შენისთანა გველ-ვეშაპთან!

იეზაველმა კიდევ მიიწია მისკენ, მაგრამ მამამ შეაჩერა ის.

— ამას ჰსურს მოთმინებიდან გამომიყვანოს! უნდა ადვილად მოკვდეს ჩემის ხანჯლით, რად მოსტყუვდი, საზიზღარო! ოჰ! რა სიამოვნებით გიცქერ ხვალ, როდესაც შეგაგდებენ გახურებულ ხარის გულში. იკვნესებ, ათრთოლდები, შეგვეევედრები პატიებას, მაგრამ ამაოდ.—არავინ შეგიბრალებს!..

— არ არის საჭირო! —მიაძახა ყმაწვილმა.

ხუთი წუთის შემდეგ ქურუმებმა გამოუცხადეს ხალხს ტირის მპყრობელის გადაწყვეტილება: დამნაშავე ხვალ მზის ჩასვლისას დაისჯება საჯაროდ, რკინის ხარში დაწვით.

ხალხი აღელდა. ერთი ნაწილი წინააღმდეგი იყო, მეორეს უხაროდა. მხედრებმა გაჰფანტა ისინი ტაძრიდან. ფალესიც გამოვიდა თავის მხლებლებით. როგორც კი ის გამოჩნდა ხალხში, იმის ახლოს გაისმა საშინელი კივილი და ხალხიდან გამოვარდა ახალგაზდა, ფერმკრთალი, მშვენიერი სახის ქალი.

— სამართალს ვეძებ მე, ხელმწიფეო! მოწყალებას გთხოვ ტირის ძველი კანონის სახელით!

— ვინა ხარ? რა გინდა ჩემგან?—ჰკითხა ფალესმა. შემდეგ მიუბრუნდა მხლებლებს და უბძანა:

— სცემეთ და გააგდეთ აქედან!

— არ გაჰბედოთ! ხელი არ ახლოთ ქალსა! გაისმა ხალხში ხმები. მხედრები შეჩერდნენ, აწეული ხლმები ისევ ძირს დაუშვეს.

— თუ ეს ქალი შეშლილი არ არის, რასაკვირველია ყური უნდა დაუგდო აქვე, ტაძრის შესავალთან, ძველი კანონის ძალით.—სთქვი ვინა ხარ? რა გინდა?

— მე ვარ ილისს, მატტანის ქალი!

— ხმა მაღლა სთქვა ქალმა. —აქ, ამ უძველეს ტაძრის შესავალთან, ვფიცავ ჩემს სიწმინდეს, ვფიცავ რისხვას მოლოხისას და მძვინვარებას ასტარტისას, რომ ჩემი საქრმო, მექანდაქრე მირბალ უდანაშაულოა! კიდევ ვფიცავ, რომ მე მონად გაყიდვის ღირსი არა ვარ, რადგან არ მიმიძღვის არავითარი დანაშაული.

— საბუთი!—წამოიძახა ფალესმა.—რა საბუთი გაქვს შენი სიტყვების დასამტკიცებლად? მირბალის წინააღმდეგ მოწმობენ პატივცემულები...

(შემდეგი იქნება)

ეფ. მესხი.

ტფილისი, სტამბა „შრომა“ მუხრანის ქუჩა 12. რედაქტორ-გამომცემელი **ნ. კურდღელაშვილი.**